

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 9 სექტემბრის სხდომის

ოქმი #6

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022 წლის 9 სექტემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 32 წევრი, სხდომას ესწრებოდა 22 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ.ტრაპაიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ.ჭელიძე და ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. შესწორებები მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში;
2. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში;
3. სწავლის დაწყების გადავადება კომპიუტერული მეცნიერებების ინგლისურენოვანი და ქიმიის ინგლისურენოვანი პროგრამების პირველსემესტრელებისთვის;
4. მეორე კორპუსში ახალი აბრების დამზადების შესახებ;
5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა;
6. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – შესწორებები მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა.

მსჯელობის საფუძველზე დაზუსტდა მაგისტრატურის საფეხურზე გამოყოფილი ადგილების რაოდენობა. კერძოდ, გამოყენებით ბიომეცნიერებებზე ადგილების რაოდენობა გაიზარდა 20-მდე, ხოლო ქიმიის პროგრამაზე დაემატა 1 ადგილი (იხ. დანართი 1).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართები 2). ცვლილებები შევიდა შემდეგ საბაკალავრო პროგრამებში: კომპიუტერული მეცნიერება, კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი), ფიზიკა, ქიმია, ქიმია (ინგლისურენოვანი), ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, ბიოლოგია; და სამაგისტრო პროგრამებში: ინფორმაციული სისტემები, ქიმია და ქიმიური ექსპერტიზა. ცვლილებების საფუძველი იყო პროგრამის გაუმჯობესება და ოპტიმიზაცია. რიგი ცვლილებებისა განპირობებული იყო პროგრამის ხელმძღვანელების გარდაცვალებით.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, გ.ჯიბუტმა, გ.ღვედაშვილმა, გ.სირბილაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი ცვლილებების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართები 2).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი – სწავლის დაწყების გადავადება კომპიუტერული მეცნიერებების ინგლისურენოვანი და ქიმიის ინგლისურენოვანი პროგრამების პირველსემესტრელებისთვის. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დეკანის სახელზე შემოვიდა ქიმიის ინგლისურენოვანი პროგრამის ხელმძღვანელის, გიორგი ჯიბუტისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის მანანა ხაჩიძის სამსახურეობრივი წერილები (იხ. დანართები 3). წერილებში ნათქვამია, რომ აღნიშნულ ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მოზიდვის მიზნით განხორციელდა სხვადასხვა ინფორმაციულ-მარკეტინგული აქტივობები. ამ ეტაპზე 20-მდე აპლიკანტია კომპიუტერული მეცნიერებების და ერთი - ქიმიის პროგრამაზე და მოსალოდნელია ამ რაოდენობის გაზრდა, რაც გარკვეულწილად დამოკიდებულია განაცხადების მიღების, რეგისტრაციის და სასწავლო პროცესის ვადებთან. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია განისაზღვროს წერილში აღნიშნული ვადები ცალკეული პროგრამისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სწავლის დაწყების გადავადების შესახებ, ახალი ვადების მითითებით, კომპიუტერული მეცნიერებების ინგლისურ-ენოვანი და ქიმიის ინგლისურენოვანი პროგრამების პირველსემესტრელებისთვის.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: განისაზღვროს სასწავლო პროცესის ვადები კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამისა და ქიმიის ინგლისურენოვანი პროგრამისთვის 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სტუდენტებისათვის:

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საბუთების მიღება - 1 სექტემბერი;
- ადმინისტრაციული რეგისტრაცია და ხელშეკრულების გაფორმება - 26 სექტემბერი - 3 ოქტომბერი;
- აკადემიური რეგისტრაცია - 26 სექტემბერი - 3 ოქტომბერი;
- სააუდიტორიო მეცადინეობები - 3 ოქტომბერი - 31 დეკემბერი, 9-21 იანვარი;
- საგამოცდო პერიოდი - 23 იანვარი - 10 თებერვალი (დასკვნითი გამოცდები); 14 – 18 თებერვალი (დამატებითი გამოცდები).

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – მეორე კორპუსში ახალი აბრების დამზადების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ უნდა დამზადდეს ახალი აბრები თსუ-ის მეორე კორპუსში განთავსებული ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიისა და ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტების ოთახებისათვის. შემდეგ ბატონმა რამაზმა სიტყვა გადასცა პროფესორ ი.ჩიკვაძეს, რომელმაც ქიმიის დეპარტამენტის სახელით წინადადება შემოიტანა ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიას (მეორე კორპუსი, ოთახი 170) მიენიჭოს პროფესორ ნინო ციციშვილის სახელი. მან მოკლედ ისაუბრა პროფესორ ნინო ციციშვილის ღვაწლის შესახებ.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა დ.ძიძიგურმა, გ.სირბილაძემ. ქ-ნი დ.ძიძიგური შემოვიდა წინადადებით, რომ ბიოლოგების კორპუსის აბრებიც დაამზადონ. პროფესორმა ნ.შათაშვილმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნება კათედრის აბრა ცალკე დამზადდეს, ხოლო აბრა პროფესორების გვარებით - ცალკე. პროფესორმა ლია მაჭავარიანმა ისაუბრა გეოგრაფიის დეპარტამენტის აბრების სასურველ განლაგებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხები:

- ა) თსუ-ის მეორე კორპუსში განთავსებული ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიისა და ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტების ოთახებისათვის აბრების დამზადების შესახებ;
- ბ) ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიისათვის (მეორე კორპუსი, ოთახი 170) პროფესორ ნინო ციციშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: ორივე საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: ა) ეთხოვოს თსუ-ის შესაბამის დეპარტამენტს მეორე კორპუსში განთავსებული ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიისა და ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტების ოთახებისათვის აბრების დამზადების უზრუნველყოფა;

- ბ) აღიძრას შუამდგომლობა თსუ-ში გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა ღვაწლის უკვდავსაყოფად და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების დაცვა-აღორძინების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამდგენი კომისიის წინაშე, რომ თსუ-ის მეორე კორპუსის #170 ოთახს მიენიჭოს პროფესორ ნინო ციციშვილის სახელი.

5. მოისმინეს: დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. მან დადებითად შეაფასა ასოცირებული პროფესორის, ქალბატონი თამარ ჭელიძის მოღვაწეობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პოსტზე და ახალი ვადით ასარჩევად კვლავ თამარ ჭელიძის კანდიდატურა წამოაყენა. ამასთან, ფაკულტეტის საბჭოს წევრებს შეთავაზა სხვა კანდიდატურის წამოყენებაც. სხვა კანდიდატურა არ წამოუყენებიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ასოცირებული პროფესორის თამარ ჭელიძის არჩევის შესახებ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პოსტზე.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი თამარ ჭელიძე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პოსტზე.

6. მოისმინეს: დღის წესრიგის მეექვსე - მიმდინარე საკითხები.

- 6.1. საქართველოს ეროვნულ პრემიაზე პროფესორ თამაზ კერესელიძის კანდიდატურის წარდგენა;
- 6.2. ფაკულტეტის ზოგიერთი ს/კ ინსტიტუტის თანამშრომელთა დამტკიცება;
- 6.3. გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის თამარ ჯოლოხავას დისერტაციის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების დამტკიცება;
- 6.4. საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის ზსმ სკოლის დაარსების ინიციატივა.

6.1. მოისმინეს: ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის ბატონ რ.ხომერიკის ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ პრემიაზე პროფესორ თამაზ კერესელიძის კანდიდატურის წარდგენის შესახებ. მან მოკლედ ისაუბრა ბატონი თამაზის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საქართველოს ეროვნულ პრემიაზე პროფესორ თამაზ კერესელიძის კანდიდატურის წარდგენის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: საქართველოს ეროვნულ პრემიაზე წარდგენილ იქნას პროფესორი თამაზ კერესელიძე.

6.2. მოისმინეს: ფაკულტეტის ზოგიერთი ს/კ ინსტიტუტის თანამშრომელთა დამტკიცების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო უჯრედული და მოლეკულური მედიცინის, ნახევარგამტართა ფიზიკისა, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მისაღები თანამშრომლების სია.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: 1. უჯრედული და მოლეკულური მედიცინის ინსტიტუტში ტექნიკურ მუშაკად მიღებულ იქნეს:

- კესო ბაბუაძე
- დარინა ეპიტაშვილი
- ქეთევან ცანავა

2. ნახევარგამტართა ფიზიკის ინსტიტუტში მიღებულ იქნეს:

- ელზა ხუციშვილი – უფროს მეცნიერ-მკვლევარად;
- ზურაბ ჩუბინიშვილი – უფროს მეცნიერ-მკვლევარად;
- რევაზ კობაიძე – მეცნიერ-მკვლევარად;
- ნანა ქობულაშვილი – მეცნიერ მკვლევარად.

3. ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-მკვლევარის პოზიციაზე მიღებულ იქნეს იენის შილერის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი გერჰარდ კარლ ებერჰარდ სკრიბა.

6.3. მოისმინეს: სადოქტორო პროგრამის “გამოყენებითი ეკოლოგია” ხელმძღვანელის, პროფ. ლია მაჭავარიანის წერილის საფუძველზე ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ გამოიტანა საკითხი “გამოყენებითი ეკოლოგიის” სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის თამარ ჯოლოხავას დისერტაციის “ცენტრალური კავკასიონის სუბნივალურ-ნივალური ნანოცენოზების სტრუქტურულ-ფუნქციური ორგანიზაცია და სივრცითი ტრანსფორმაცია” (სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფ. ლია მაჭავარიანი, გმდ; ოთარ აბდალაძე, ზმდ; ზაალ კიკვიძე, ზმდ) რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების დამტკიცების შესახებ (იხ. დანართი 6.4).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს “გამოყენებითი ეკოლოგიის” სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის თამარ ჯოლოხავას დისერტაციის “ცენტრალური კავკასიონის სუბნივალურ-ნივალური ნანოცენოზების სტრუქტურულ-ფუნქციური ორგანიზაცია და სივრცითი ტრანსფორმაცია” (სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფ. ლია მაჭავარიანი, გმდ; ოთარ აბდალაძე, ზმდ; ზაალ კიკვიძე, ზმდ) რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების დამტკიცების შემდეგი სიის მიხედვით:

რეცენზენტები:

- მარინა მოსულიშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;
- ბესიკ კალანდაძე – თსუ ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი.

დაცვის კომისიის წევრები:

1. მაკა მურვანიძე – თსუ პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;

2. დავით ბედოშვილი – აგრარული უნივერსიტეტის მიწათმოქმედების ინსტიტუტის დირექტორი, ბიოლოგიის დოქტორი;
3. ზურაბ სეფერთელაძე – თსუ პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი;
4. დალი ნიკოლაიშვილი – თსუ პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი;
5. ლამზირა ლაღიძე – თსუ ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი;
6. მარინე ბოკერია - თსუ ასისტენტ პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;
7. გიორგი ბრეგვაძე – თსუ ასისტენტ პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი.

6.4. მოისმინეს: ფაკულტეტის საბჭოს წინაშე საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (ზსმ) მიმართულებით სკოლის დაარსების ინიციატივით წარდგა პროფესორი ნ.შათაშვილი. მან ისაუბრა ზსმ მიმართულებით საშუალო სკოლის მოსწავლეთა შორის ცოდნის ნაკლებობისა და აბიტურიენტების მოზიდვის კუთხით არსებულ პრობლემებზე. ქალბატონმა ნანამ გამოთქვა სურვილი, რომ ფაკულტეტმა აღადგინოს ძველი ტრადიცია (მაგ. ნორჩ ტექნიკოსთა სკოლის არსებობა და სხვა), რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შორის ზსმ დარგების მიმართულებით ინტერესის გაღვივებას. როგორც ქალბატონმა ნანამ აღნიშნა, საინიციატივო ჯგუფმა ბევრ რამეზე იფიქრა სკოლის ორგანიზების კუთხით და თვლიან, რომ მოსწავლეთათვის სწავლება უფასო უნდა იყოს.


აზრი გამოთქვას: პროფესორებმა დ. ძიძიგურმა, რ.ხომერიკმა. ბატონმა რამაზმა ისაუბრა სკოლის ბიუჯეტზე. მან აღნიშნა, რომ თუ ფაკულტეტის საბჭო გადაწყვეტს, რომ ამ მიმართულებით უნდა დაიხარჯოს თანხა, მაშინ დაიწერება პროექტი და შემდგომი მსვლელობა მიეცემა ამ საკითხს. წინასწარი გათვლებით ამ მიმართულებით დაახლოებით 25000 ლარი იქნება საჭირო. აზრი გამოთქვას პროფესორებმა თ.კერესელიძემ, გ.სირბილაძემ, რ.გახოკიძემ, თ.დავითაშვილმა, ი.ჩიკვაძემ. ბატონმა იოსებმა აღნიშნა, რომ ამ სკოლაში ბავშვებს უნდა გავუღვივოთ დარგისადმი ინტერესი და გავუღრმავოთ ცოდნა. საბჭოს წევრებმა ისაუბრეს სკოლისთვის სახელის შერჩევაზე და შეჯერდნენ სახელზე „ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლა“ ან, შემოკლებულად, ზსმ სკოლა“.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭო მხარს უჭერს ზსმ სკოლის დაარსებას ფაკულტეტის ბაზაზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი

